

PLITONIT

პროფესიონალად ყოფნა ადვილია



Plitonit
Deutsche
Qualität

PLITONIT P300 – პროფესიონალური სწრაფმაგრებადი თვითსწორებადი მოსასწორებელი შიდა სამუშაოებისთვის, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს 31358-2019-ს



სწრაფმაგრებადი მოსასწორებელი განკუთვნილია ბეტონის იატაკებისა და მონოლითური ცემენტის იატაკების მოჭიმვების გასასწორებლად, ეპოქსიდური იატაკების ქვეშ წასასმელად, ჰომოგენური ლინოლეუმისა და მფარავი საფარის, იატაკის კერამიკული ფილების დასაგებად, ასევე "თბილი იატაკის" სისტემაში გამოსაყენებლად შიდა სამუშაოების ჩატარებისას. დამზებულია გასწორებული ზედაპირის ექსპლუატაცია დამატებითი იატაკის საფარის გარეშე, ასევე ბეტონის სპეციალური საღებავებით შეღებვა.

დაფასოება - 25 კგ.

- დატანის ღიაპაზონი 2-20 მმ (ჩაღრმავებებში 30 მმ-მდე)
- რეკომენდირებულია როგორც ზედაპირი ეპოქსიდური იატაკებისა და ჰომოგენური ლინოლეუმის დასაგებად
- სწრაფმაგრებადი, სიარულის შესაძლებლობა 3 საათში
- მაღალი სიმტკიცე და ცვეთამედგობა
- ექსპლუატაციის შესაძლებლობა იატაკის საფარის გარეშე
- იატაკის მოჭიმვაზე თბილი იატაკის სათბობი ელემენტებით

სუპერფინალური გასწორებისთვის

- ხსნარის ტემპერატურა ექსპლუატაციის დროს — +70°C-მდე

მასალის ხარჯი

1,7-1,8 კგ/მ² 1 მმ სისქის შრის შემთხვევაში

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელია ტემპერატურის შენარჩუნება +10°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე. სამუშაოების დროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა — არანაკლებ 60%. პირველი 3 დღე-ღამის განმავლობაში ზედაპირი დაცული უნდა იყოს მზის პირდაპირი სხივებისგან, გამჭოლი ქარისგან.

მოსამზადებელი სამუშაოები

თუ ზედაპირს აქვს 20 მმ-ზე მეტი სიმაღლის სხვაობები, 30 მმ-ზე მეტი სიღრმის ჩაღრმავებები ან გამჭოლი ხვრელები, აუცილებელია ზედაპირის წინასწარი გასწორება სქელშრიანი მოსასწორებელით პლიტონიტ P1 PRO. ზედაპირი უნდა იყოს მყარი (ბეტონის მარკა B15 ან მეტი, ცემენტის იატაკის მოჭიმვა კუმშვისას სიმტკიცით არანაკლებ 20 მპა), კონსტრუქციულად მზიდი და არ ჰქონდეს გამჭოლი ბზარები. საგულდაგულოდ გაწმინდეთ საფუძვლის ზედაპირი მტვრისგან, ქუჩყისგან, ზეთისგან, ბიტუმისგან, ორგანული და მინერალური წებოებისა და საღებავების ნარჩენებისგან. ზედაპირის მტვრისგან საბოლოოდ გაწმენდა უნდა მოხდეს მტვერსასრუტით. აუცილებელია იატაკის გასასწორებელი შრის წინასწარი იზოლირება კედლებისა და ტიხრებისგან 1,5-2 სმ-ის მანძილზე პენოპოლისტიროლის თხელი ზოლებით ან ხის ლარტყებით პოლიეთილენის ფირში. ნივთიერების საჭირო დონის დასადგენად უნდა გამოიყენოთ ნიშნულები ან რეპერები.

გასწორებადი ზედაპირი უნდა დამუშავდეს პრაიმერით "პლიტონიტი გრუნტი სუპერპოლი". შესაძლებელია პლიტონიტის სხვა პრაიმერების ან მზა სახით არანაკლებ 8%-ისა მშრალი ნარჩენის მქონე პრაიმერების გამოყენება. პრაიმერი ისმევა ფუნჯით, ჯაგრისით ან ლილვაკით. პრაიმერმა უნდა წარმოქმნას თხელი უწყვეტი შრე, დაუშვებელია გუბების წარმოქმნა. მომატებული წყალშთანთქმის მქონე ზედაპირები მუშავდება პრაიმერით ორჯერ. დაგრუნტული ზედაპირის ხარისხი განისაზღვრება წყლის შეწოვის არარსებობით 20-30 წუთის განმავლობაში. გლუვი, მკვრივი ზედაპირები (მონოლითური ბეტონი, გადახურვის ფილები და ა.შ.) უნდა დამუშავდეს პრაიმერით პლიტონიტ გრუნტ ბეტონკონტაქტი.

ხსნარის ნარევის მომზადება

მშრალი ნარევის აღუდაბებისთვის გამოიყენეთ წყალი სასმელი წყალმომარაგებიდან. თანაფარდობა შერევისას: 1 კგ მშრალ ნარევზე საჭიროა 0,19-0,22ლ წყალი (4,75-5,5 ლ 25 კგ-იან ტომარაზე) ჩაყარეთ მშრალი ნარევი წინასწარ აზომილ წყალში და მოურიეთ 3 წუთის განმავლობაში ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით ბრუნვის სიხშირე არაუმეტეს 600 ბრ/წთ ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე. მზა ხსნარის ნარევის გამოყენების დრო 30 წუთია ხსნარის ნარევის $20 \pm 2^\circ\text{C}$ ტემპერატურაზე.

მუშაობის წესი

მუშაობას დაწყებამდე მზად უნდა გქონდეთ ორი სათავსო, მშრალი ნარევის საჭირო რაოდენობა, გახსნილი და რიგში დალაგებული პაკეტები, წყალი და წყლის საზომი. სამუშაოს დაწყება რეკომენდირებულია გასასვლელიდან ყველაზე შორს მდებარე კედლიდან მაქსიმალურად უწყვეტი ტემპის შენარჩუნებით. მოსასწორებლის მასა ისმება კედლის პარალელურად, დაახლოებით, 50 სმ სიგანის ზოლებად. ორ პორციას შორის შეერთების დრო არ უნდა აღემატებოდეს 10-15 წუთს. ზედაპირზე მასწორებელი მასის უკეთ განაწილებისთვის საჭიროა ფართო ფითხით ან ნემსისებრი ლილვაკის გამოყენება. სამუშაოების შესრულება აუცილებელია შესვენებების გარეშე, მაქსიმალური ტემპის დაცვით. იატაკის ფუნქციონალური ვარგისიანობა არ მცირდება, თუ წარმოიქმნება იშვიათი მიკრობზარები ზედაპირიდან მოსასწორებლის ფენის აქერცვლის გარეშე.

ყურადღება

სამუშაოს შესრულება რეკომენდებულია არანაკლებ ორი ადამიანისგან შემდგარი ბრიგადის მიერ. ზედმეტი წყალი დაუშვებელია. გასწორებულ ზედაპირზე სიარული დასაშვებია დაგებიდან არაუადრეს 3 საათის შემდეგ. თუ შენობა-ნაგებობის სიგანე აღემატება 5 მ-ს, მაშინ ის უნდა დაიყოს მონაკვეთებად გამაფართოებელი ნაკერებით. კერამიკული ფილების დაგება შეიძლება 24 საათის შემდეგ, ეპოქსიდური იატაკების, ხალიჩებისა და ლინოლეუმის, პლასტმასისა და პარკეტის საფარის დაგება კი, დაახლოებით, 3-7 დღის შემდეგ იატაკის საფარის მწარმოებლის ინსტრუქციაში მითითებულ დასაშვებ მაჩვენებელთან ზედაპირის ტენიანობის შედარების შემდეგ. მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად რეკომენდირებულია ხეხვა, მაშქიდრობელი ნაერთებით გაჟღენთვა, პოლიმერული საღებავების, ლაქების ან მინანქრების, მათ შორის ანტისტატიკების, წასმა. მითითებული მახასიათებლები მოქმედებს გარემოს $20 \pm 2^\circ\text{C}$ ტემპერატურისა და ჰაერის $60 \pm 10\%$ ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

უსაფრთხოების ზომები

ნარევი მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის მიხედვით. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები. მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით. მოარიდეთ ბავშვებს!

ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობები

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. ტომრები მშრალი ნარევით უნდა იქნას შენახული დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობა და აარიდებს დატენიანებისგან.

მწარმოებლის ტარაში შენახვის ვადა - 12 თვე დამზადების დღიდან.

შემადგენლობა

ქვიშა, პორტლანდცემენტი, მინერალური შემავსებელი, მამოდიფიცირებელი დანამატები

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევები შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის 31358-ისა და ტექნიკური პირობების 5745-102-515521552013-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებს და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ 8.579-2001-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა < 370 ბკ/კგ; "რადიაციული უსაფრთხოების ნორმების" (რადიაციული უსაფრთხოების ნორმები-99/2009) სანიტარული წესებისა და ნორმების 2.6.1.2523-09-ის I კლასის მიხედვით).

ტექნიკური მახასიათებლები

ნარევისთვის მშრალ მდგომარეობაში	
მასალის ხარჯი 1 მმ სისქის შრეზე	1,7-1,8 კგ/მ ²
შემავსებლის მარცვლების ყველაზე დიდი ზომა	1,25 მმ
ყველაზე დიდი ზომის მარცვლების შემცველობა, არაუმეტეს	0%
აღუღებების წყლის ხარჯი: • 1 კგ-ზე • 25 კგ-იან ტომარაზე	0,19-0,22 ლ 4,75-5,5 ლ
გამოსაყენებლად მზა ნარევისთვის	
სიმკვრივე	1900-2100 კგ/მ ³
მობილურობა (რგოლის განთხევა) სახელმწიფო სტანდარტის 31358-ის მიხედვით, არანაკლებ	240 მმ-მდე
გამოსაყენებლად მზა ნარევის გამოყენების დრო, არაუმეტეს	30 წთ
გამაგრებული ხსნარისთვის	
სიმტკიცე კუმშვისას ასაკში ნორმალურ პირობებში, არანაკლებ • 3 საათი • 1 დღე-ღამე • 28 დღე-ღამე	5 მპა 8,5 მპა 25 მპა
ბეტონის ზედაპირთან შეჭიდებულობის სიმტკიცე, არანაკლებ • 7 დღე-ღამე • 28 დღე-ღამე	0,4 მპა 0,75 მპა
ცვეთადობა	არაუმეტეს 0,8 გ/სმ ²
ჩაჯდომის დეფორმაცია	არაუმეტეს 0,7მმ/მ
გაფართოების დეფორმაცია	არაუმეტეს 0,2მმ/მ
ხსნარის ტემპერატურული რეჟიმი ექსპლუატაციის პროცესში	+70°C-მდე
ბუნებრივი რადიონუკლიდების ხვედრითი ეფექტური აქტივობა	არაუმეტეს 370 ბკ/კგ

ლოგისტიკური ინფორმაცია

ინდივიდუალური მტრისკოდი 4607013042773 ტომრების რაოდენობა პალეტზე – 48 ც.